შ. პ. ს. ჯი აი პი ენ
საპროექტო-სამშენებლო სტუდია

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №27-ში არსებული შენობის (“მუზა”) სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით

კოსტავას №27 “მუზა” რეკონსტრუქცია ადაპტაციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია 2018 წელს. ამჟამად გათვალისწინებულია ცვლილებები არქიტექტურულ-გეგმარებით ნაწილში. ეს ცვლილებები არ არის დაკავშირებული შენობის კონსტრუქციულ ნაწილთან და ის კვლავ უცვლელი სახით რჩება.

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №27-ში არსებული შენობის (“მუზა”) რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მხარეს არსებული ერთი მალის მზიდი კედლების შენარჩუნებას და დანარჩენი ნაწილის რეკონსტრუქციას. ახალი ნაწილის საძირკველი წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილას. საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხოვანი გრუნტი. შენობის ძირითადი მზიდი ელემენტები მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციებია. შენობის მზიდ ჩონჩხს ქმნის რ/ბ მონოლითური ჩარჩოები. სართულშუა გადახურვები რ/ბ მონოლითური ფილებია. გადახურვის ფილა ნაწილობრივ ურიგელოა. კიბეები ეწყობა რ/ბ მონოლითურ ფილაზე.

ქვაბულის დამუშავების პროცესში გათვალისწინებულია დროებითი გამაგრების სამუშაოები.

ქვაბულის დამუშავებამდე მის კონტურზე ეწყობა ვერტიკალური მეტალის პროფილები IP 270 E. მათი ჩამაგრება ხდება წინასწარ ჩაბურღულ 300 მმ დიამეტრის ჭაბურღილებში.

ქუჩის მხარეს არსებულ მალში გათვალისწინებულია შუა გრძივი კედლის დაშლა და შემდეგ კონსტრუქციული ელემენტების მოწყობისას მისი ხელახლა აღდგენა იმავე აგურით და იმავე გეომეტრიული ზომებით. აღგდგება ამ კედლის არსებული ვიზუალური სახე. ამ კედლის ფარგლებში გათვალისწინებულია ჩაშენებული რკინა-ბეტონის ჩარჩოს მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს შუა კედლის მზიდუნარიანობის ამაღლებას. ამავე დროს კედლის დაშლა ხელსაყრელია იმის გამო, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება მის ორივე მხარეს არსებული გადახურვის ფილების ერთ ჩარჩოში გაერთიანება. ამ გზით მივიღებთ ერთიან მონოლითურ შენობას, რომელშიც ძველი და ახალი მზიდი ელემენტები ერთობლივად იმუშავებენ როგორც სტატიკურ, ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე.

ამჟამად ფასადის მხარეს არსებული კედელი მთლიანად შენარჩუნებულია და გამაგრებულია ლითონის ჩარჩოთი.

აღნიშნული გზით შესრულებული მზიდი ჩონჩხი უზრუნველყოფს შენობის მდგრადობას.

შ.პ.ს. “ჯი აი პი ენ”-ის დირექტორი: ო. ქვრივიშვილი

08 სექტემბერი, 2020 წ.

შ. პ. ს. “ჯი აი პი ენ, საპროექტო-სამშენებლო სტუდია
თბილისი, სტურუას №24
ტელეფონი: 599 150088